პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

ქალაქი ბათუმი _____ ოქტომბერი, 2024 წ.

„ქალაქ ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 მარტის №g-15.152408612 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. „ქალაქ ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 მარტის №g-15.152408612 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია ჩამოყალიბდეს ამ განკარგულებაზე თანდართული რედაქციით;

ბ) განკარგულებას მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის 5^1 პუნქტი:

„5^1. განემარტოს შპს „სქაი ქონსთრაქშენს'' (ს/N405643594).), რომ იგი ვალდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის ეტაპზე გაითვალისწინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2024 წლის 29 ოქტომბრის N01-01-10/9199 წერილით დადგენილი პირობები.“.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ **ირაკლი თავდგირიძე**

განმარტებითი ბარათი
პროექტის სახელწოდება და სათაური

,,ქალაქ ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 მარტის Nგ-15.152408612 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

განმცხადებელი: შპს ,,სქაი ქონსთრაქშენი'' (ს/კ: N405643594**);**

მის: ქალაქ ბათუმში, გრიგოლ ელიავას ქუჩა N17, N19, ზღვისპირის ქუჩა N3ბ, N3 და N3ა - ში მდებარე უძრავი ნივთების (მიწის ნაკვეთები ს/კ: 05.32.03.777, 05.32.14.008, 05.32.14.216, 05.32.14.046 და 05.32.03.972) ინიციატორის მოთხოვნაა კონცეფციაში ცვლილებების დამტკიცება; ითხოვს განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის (კ2) დადგენილი 2.5-დან 9.5-მდე გაზრდას, მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრას. არ იცვლება განაშენიანების კოეფიციენტი (კ1-0.5) და გამწვანების კოეფიციენტი (კ3-0.3). დაგეგმილია 135 ავტოსადგომის მოწყობა. სართულიანობა 19 სართული, სიმაღლე 65 მეტრი.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

,,ქალაქ ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 მარტის გ-15. 152408612 განკარგულებაში ცვლილებების შესახებ'' განკარგულების მიღება.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) განკრგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსი **გიორგი წანაწყენიშვილი**